ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სტუდენტთათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებების დაწერის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №36 სხდომაზე დადგენილი “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის” მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის საბაკალავრო საფეხურის სტუდენთა მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადების დაწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 13 ოქტომბერი;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის პროფესიული პროგრამების, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენთა მიერ სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადების დაწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 21 ოქტომბერი;

3. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;

4. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტს, ბიზნესის სკოლას.

რექტორი **გიგა ზედანია**